ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9726219001
თარიღი:07/08/2026

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომა

ოქმი N-15

დ.ლენტეხი. 5 აგვისტო 2026წ.

მიმდინარე წლის 5 აგვისტოს დღის 11 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 18 (თვრამეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა 5 (ხუთი) წევრი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) უფროსის მ/შ ხაირა ლიპარტელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეული იქნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 4 აგვისტოს N-96-962621611 მომართვის საფუძველზე. მან სხდომის წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1.დაბა ლენტეხში თამარ მეფის ქუჩის გარკვეული მონაკვეთის დროებით ჩაკეტვის შესახებ

/მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 15-იანვრის N-2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

3. ლენტეხის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 16 მაისის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 18;

წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით:

1. მოისმინეს: იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი **- დაბა ლენტეხში თამარ მეფის ქუჩის გარკვეული მონაკვეთის დროებით ჩაკეტვის შესახებ** მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაბაში ავტომობილების რიცხვის მატების გამო, ვიზიტორების, ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით საჭიროა ჩაიკეტოს ავტოტრანსპორტის მოძრაობა თამარ მეფის ქუჩის გარკვეულ მონაკვეთზე. კერძოდ: გზაჯვარედინიდან ლენტეხის რაიონული სამმართველოს ჩასახვევამდე 5 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე, დრო განისაზღვროს საღამოს 19:00 საათიდან ღამის 02:00 საათამდე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ დავით პირველმა გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ ქუჩის გადაკეტვაზე გათვალისწინებული დროები ადრეა ამიტომ შესაცვლელია შემდეგნაირად: ჩაკეტვა მოხდება დღის 20:00 საათიდან საღამოს 03:00 საათამდე და პერიოდი განისაზღვროს 6 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე.

სხდომის თავმჯდომარემ განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -18;

წინააღმდეგი -0.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი აღნიშნული ცვლილების შეტანით.

2. მოისმინეს: მერიის იურიდიული სამსახურის უფრომა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი **-,, ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 15-იანვრის N-2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.**

მომხსენებელმა განმარტა, რომ ცვლილება შევიდა დადგენილების მე-3 მუხლში, ამ მუხლს დაემატა ,,კ“და ,,ლ“ პუნქტები:

,,კ“ პუნქტი - პერსონალური ასისტენტის მომსახურების დაფინანსება“;

,,ლ“პუნქტი - სოციალურად დაუცველი და უკიდურესად შეჭირვებულ მარტოხელა ბენეფიციარებზე საშობაო და სააღდგომო საჩუქრების გადაცემა, რომელთა სარეიტინგო ქულა არ უნდა აღემატებოდეს 50 000-ს.

დაემატა ,, მუხლი 13^1 პერსონალური ასისტენტის მომსახურეობა.

დაემატა ,,მუხლი 13^2 მარტოხელა ბენეფიციარებზე სასურსათო კალათის გადაცემა.

პროგრამა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერით. პროგრამის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია, ხოლო მომსახურეობას ახორციელებს შესაბამისი წესით შერჩეული მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია, მუნიციპალიტეტსა და ორგანიზაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამ პროგრამით დადგენილი მომსახურეობის მიმღები პირია ის, ვისაც სამინისტროს მიერ უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ დადგენილი შეფასების საფუძველზე განესაზღვრება პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტირების ტიპი.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -18

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით **,, ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 15-იანვრის N-2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.**

3.მომხსენებელმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 16 მაისის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ამ დადგენილების სათაურში, ტექსტში და დანართ N1-ში შეიცვალა ტერმინოლოგია.

,,პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა შეიცვალა პერსონალური ასისტენტის მომსახურების სახელმწიფო ქვეპროგრამით.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურების სახელმწიფო ქვეპროგრამა ხორციელდება ,,სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“, მოქმედი კანონმდებლობისა და მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში.

პერსონალური ასისტენტის მომსახურების სახელმწიფო ქვეპროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა, ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში საჭირო მხარდაჭერის უზრუნველყოფა ბენეფიციარის ინდივიდუალური საჭიროებების შესაძლებლობებისა და სურვილების გათვალისწინებით.

პროგრამა დიდ როლს ასრულებს არა მხოლოდ ბენეფიციარის არამედ მისი მზრუნველი ოჯახის წევრების ცხოვრებაშიც.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურეობის სახელმწიფო ქვეპროგრამის ადმინისტრირებას ახორციელებს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია. კოორდინაციასა და ადმინისტრაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

აღნიშნულ პროგრამაზე პასუხისმგებელი პირი -კურატორი კოორდინაციას უწევს პროგრამის განხორციელებას, უზრუნველყოფს ამ პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოებას, იღებს და ამოწმებს ბენეფიციარის განცხადებებს და თანდართულ დოკუმენტებს, უზრუნველყოფს კომუნიკაციას ბენეფიციართან და ასისტენტთან. უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის მომზადებას.

ბენეფიციარის განცხადებებსა და თანდართულ დოკუმენტაციას განიხილავს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისია. კომისია განიხილავს განცხადებებს და დოკუმენტაციას, ამოწმებს პროგრამაში ჩართვის, უარის თქმის ან დამატებითი დოკუმენტაციის საჭიროებას, იღებს გადაწყვეტილებას დოკუმენტაციის მიხედვით პროგრამაში ჩართვის ან უარის თქმის შესახებ. ინფორმაციას აწვდის პასუხისმგებელ პირს შემდგომი რეაგირებისთვის.

ასისტენტის შერჩევა ხდება ბენეფიციარის საჭიროებების, სურვილების, ინტერესების გათვალისწინებით. ბენეფიციარს აქვს ასისტენტის არჩევის უფლება.

ასისტენტის მომსახურეობა იწყება ხელშეკრულების გაფორმებით, იდება სამმხრივი ხელშეკრულება მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციას, პერსონალურ ასისტენტსა და ბენეფიციარს შორის და ხელშეკრულების გაფორმებას უზრუნველყოფს მერია და პასუხისმგებელი პირი-კურატორი. პროგრამის დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხებით, რომელიც აისახება ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სოციალურ მუხლში.

სხდომის თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა, რომ ასისტენტებისთვის ხელფასის გაცემა თუ გამოიწვევს ბიუჯეტში ცვლილებას.

ხათუნა ლიპარტელიანი: ეს თანხა არის დელეგირებული და ყოველთვიურად ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების ჩამორიცხვა, რომელიც აისახება ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სოციალურ მუხლში.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ხუტა მუკბანიანმა დასვა შეკითხვა , თუ ვის მიერ ხდება ბენეფიციარისთვის შშმ პირის სტატუსის მინიჭება.

ხათუნა ლიპარტელიანმა განმარტა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის საავადმყოფოში არის სპეციალიზებული ჯგუფი , ვინც ამოწმებს ბენეფიციარს და ანიჭებს სტატუსს.

ხუტა მუკბანიანი : თუ ითვალისწინებს ქვეპროგრამა იმას, რომ ბენეფიციარი, რომელსაც ჰყავს ასისტენტი, ბენეფიციარის რაიონ გარეთ გასვლის შემთხვევაში რომ გაჰყვეს ასისტენტი.

ხათუნა ლიპარტელიანი: არც გაყოლის და არც დალოდების ვალდებულება ასისტენტს არ აქვს და ბენეფიციარს უკან დაბრუნების შემთხვევაში მოუწევს რიგში ჩადგომა.

საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ელდარი ლიპარტელიანმა დასვა კითხვა: რამდენი ასისტენტი გვყავს ჩვენს მუნიციპალიტეტში.

ხათუნა ლიპარტელიანი: მუნიციპალიტეტში სულ არის 5 ასისტენტი.

საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დავით ფურელაინმა დასვა კითხვა: ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის კვოტა თუ არის ხუთი ასისტენტი, რამდენი ბენეფიციარის მოემსახურება შეუძლია ერთ ასისტენტს.

ხათუნა ლიპარტელიანი: ერთ ასისტენტს შეუძლია ორი ბენეფიციართან მუშაობა საათობრივად .

იაკობ გაზდელიანი: თუ არის შესაძლებელი ბენეფიციარებზე ვაუჩერების გადაცემა, რათა შეძლონ რაიონ გარეთ დასვენება.

დავით პირველი: აღნიშნული პროგრამა სრულიად ახალი და მნიშვნელოვანი ეტაპია, იმედია ეტაპობრივად გაფართოვდება და დაიხვეწება , რათა მეტმა ბენეფიციარმა შეძლოს სარგებლობა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

მომხრე -18;

წინააღმდეგი -0.

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით ლენტეხის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 16 მაისის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დამთავრდა 14 საათზე.

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი